ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 34

20/4 წ. "23" 12

ქ.თბილისი

შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 202065068) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 23 დეკემბრის №7 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე